



# ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

იანვარი 2023

საქართველო

## საქართველოში საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავალი 2022 წელს



Research



# ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

## საქართველო

### იანვარი 2023

- 2022 წელს საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობამ სულ 3.9 მილიონს მიაღწია, რაც 176%-ით მეტია 2021 წლის მონაცემზე და ის ვიზიტორთა პანდემიამდელი (2019) რაოდენობის 65%-ს შეადგენს.
- ქვეყნებს შორის 2022 წელს ვიზიტორთა რაოდენობა რუსეთიდან ყველაზე მაღალი იყო და 915 ათასს მიაღწია. რუსეთს მოსდევდა მეზობელი ქვეყნები: თურქეთი (711 ათასი) და სომხეთი (531 ათასი).
- 2022 წელს მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავალმა 3,5 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 8%-ით მეტია 2019 წლის მონაცემზე. აღდგენა ეტაპობრივი იყო და 2022 წლის IV კვარტალში 46%-ით გადააჭარბა პანდემიამდელ მაჩვენებელს.

- რუსი მოგზაურებისგან მიღებული შემოსავალი ყველაზე მაღალი იყო სხვა ქვეყნებთან შედარებით და 891 მილიონი აშშ დოლარი (მთლიანი შემოსავლის 25.3%) შეადგინა, რაც 15%-ით აღემატება 2019 წლის მაჩვენებელს. ამას გარდა, უკრაინელი მოგზაურებისგან მიღებულმა შემოსავალმა 52%-ით გადააჭარბა პანდემიამდელ მაჩვენებელს და 282 მლნ აშშ დოლარს მიაღწია.
- 2023 წლის იანვარში საქართველოში სასტუმროს ფასების ინდექსი (სფი) 2022 წლის დეკემბერთან შედარებით 8.3%-ით შემცირდა, ხოლო 2022 წლის იანვართან შედარებით - 15.7%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ წლიური ფასების ზრდა განსაკუთრებით მაღალი საოჯახო სასტუმროებისთვის აღმოჩნდა (36.2%).


2023 წლიდან საერთაშორისო მოგზაურობის სტატისტიკა აღარ გამოქვეყნდება ყოველთვიურად, რაც განპირობებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საზღვრის კვეთის სტატისტიკის კვარტალურად გამოქვეყნების ახალი წესის მიღებით. შესაბამისად, ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა აღარ მოიცავს საერთაშორისო მოგზაურების, ვიზიტორებისა და ტურისტების დინამიკის ყოველთვიურ შეფასებას.



# საერთაშორისო ვიზიტორები 2022 წელს


2022 წელს საერთაშორისო ვიზიტორების შემოდინება მნიშვნელოვნად აღდგა პანდემიამდელ მაჩვენებლებთან შედარებით, რაც, შესაძლოა, განპირობებული იყოს როგორც ტურისტული, ასევე არატურისტული (რუსების, უკრაინელებისა და ბელარუსების მიგრაცია/შემოსვლა რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან დღემდე) მიზეზებით. კერძოდ, 2022 წელს საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობამ სულ 3.9 მილიონს მიაღწია, რაც 176%-ით მეტია 2021 წლის მონაცემზე და ის ვიზიტორთა პანდემიამდელი (2019) რაოდენობის 65%-ს შეადგენს.

ვიზიტორების განაწილება მოქალაქეობის მიხედვით (2022)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საერთაშორისო ვიზიტორების მიერ საშუალოდ გათვლილი ღამეების რაოდენობა (2019, 2022)



ქვეყნებს შორის 2022 წელს ვიზიტორთა რაოდენობა რუსეთიდან ყველაზე მაღალი იყო და 915 ათასს მიაღწია, რაც პანდემიამდელი მაჩვენებლის 75%-ს შეადგენს. რუსეთს მოსდევდა მეზობელი ქვეყნები: თურქეთი (711 ათასი) და სომხეთი (531 ათასი). შესაბამისად, საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობის აღდგენის მაღალი მაჩვენებელი მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლის ზრდაზეც დადებითად აისახა.

2022 წელს ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობამ მნიშვნელოვანი ზრდა აჩვენა პანდემიამდელ რიცხვთან შედარებით. კერძოდ, ერთ ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა 2022 წელს 2019 წელთან შედარებით 2.3 ღამით გაიზარდა, რაც ასევე დადებითად აისახა მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლის ზრდაზე.

აღსანიშნავია, რომ რეკრეაციის წილი ვიზიტის ძირითად მიზნებში 2022 წელს 2019 წელთან შედარებით 10 პროცენტული პუნქტით გაიზარდა, ხოლო სავაჭრო, ტრანზიტისა და ბიზნესის წილი მთლიან ვიზიტებში შემცირდა.




# საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავალი 2022 წელს


მიუხედავად საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობის ნაწილობრივი აღდგენისა, 2022 წელს შემოსავალმა საერთაშორისო მოგზაურობიდან საგრძნობლად გადააჭარბა პანდემიამდელ რიცხვს. ეს ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლის სტატისტიკა ითვალისწინებს ასევე მოგზაურებსაც, რომლებიც გრძელვადიანი ვიზიტით იმყოფებიან საქართველოში (მიგრანტები) და, შესაბამისად, არ აღირიცხებიან საერთაშორისო ვიზიტების სტატისტიკაში. გარდა ამისა, ისეთმა ფაქტორებმა, როგორცაა ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობის გაზრდა და საერთაშორისო ტურიზმის ნაწილობრივი აღდგენა, ასევე დადებითი როლი ითამაშა შემოსავლის სწრაფ ზრდაში.

კერძოდ, 2022 წელს შემოსავალმა მოგზაურობიდან 3.5 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 8%-ით მეტია 2019 წლის მონაცემზე. აღდგენა ეტაპობრივი იყო და 2022 წლის IV კვარტალში 46%-ით გადააჭარბა პანდემიამდელ მაჩვენებელს.

საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები და მათი წილი პანდემიამდელ მაჩვენებელთან შედარებით (2019-2022)



საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების განაწილება ქვეყნების მიხედვით (2022 წელი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

რუსი მოგზაურებისგან მიღებული შემოსავალი ყველაზე მაღალი იყო სხვა ქვეყნებთან შედარებით და შეადგინა 891 მილიონი აშშ დოლარი (მთლიანი შემოსავლის 25.3%), რაც 15%-ით აღემატება 2019 წლის მაჩვენებელს. ამას გარდა, უკრაინელი მოგზაურებისგან მიღებულმა შემოსავალმა 52%-ით გადააჭარბა პანდემიამდელ მაჩვენებელს და 282 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. ისრაელიდან მიღებულმა შემოსავალმა ასევე მნიშვნელოვნად გადააჭარბა პანდემიამდელ მაჩვენებელს (16%), ხოლო ევროკავშირიდან (-30%) და სომხეთიდან (-19%) მიღებული შემოსავალი კვლავ პანდემიამდელ მაჩვენებელზე ნაკლები დარჩა. აღსანიშნავია, რომ თურქი მოგზაურებისგან მიღებული შემოსავალი აღდგა პანდემიამდელი რაოდენობის 92%-მდე 2022 წლის დეკემბერში სწრაფი თვიური ზრდის შემდეგ (85.7%), რაც შეიძლება აიხსნას თურქეთიდან მოგზაურების სწრაფი შემოდინებით iPhone-ების შეძენის მიზნით<sup>1</sup>.

<sup>1</sup> <https://batumelebi.netgazeti.ge/news/450970/>



# სასტუმროს ფასების ინდექსი საქართველოში

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი<sup>2</sup> 2023 წლის იანვარში, 2022 წლის დეკემბერთან შედარებით, 8.3%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 10.0%-ით შემცირდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 15.0%-ით გაიზარდა.

თვიური ინდექსი ყველაზე მაღალი სამეგრელო-ზემო სვანეთში (14.6%) აღმოჩნდა, ყველაზე ნაკლები კი გურიაში (-20.5%).

2023 წლის იანვარში, 2022 წლის იანვართან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 15.7%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 12.9%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 36.2%-ით გაიზარდა.

წლიური ინდექსი ყველაზე მაღალი იყო შიდა ქართლში (29.4%), ყველაზე ნაკლები კი რაჭაში (0%).

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2022 იან/ 2022 დეკ	2023 იან/ 2022 იან	2022 იან/ 2022 დეკ	2023 იან/ 2022 იან	2022 იან/ 2022 დეკ	2023 იან/ 2022 იან
კახეთი	0.9%	28.1%	1.1%	14.8%	0.9%	35.1%
იმერეთი	0.3%	17.5%	-0.3%	13.6%	1.0%	23.2%
გურია	-20.5%	24.0%	-20.5%	24.0%	-	-
ქვემო ქართლი	0.0%	10.0%	0.0%	10.0%	-	-
აჭარა	-11.8%	28.2%	-13.1%	24.2%	11.1%	62.4%
რაჭა	0.0%	0.0%	-	-	0.0%	0.0%
შიდა ქართლი	2.9%	29.4%	0.0%	6.4%	4.4%	73.8%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	14.6%	13.1%	11.1%	10.9%	17.3%	14.7%
სამცხე-ჯავახეთი	3.0%	6.8%	-5.6%	-0.8%	8.2%	20.8%
მცხეთა-მთიანეთი	-6.0%	6.1%	-9.2%	13.6%	-1.5%	-5.9%
თბილისი	-10.7%	10.6%	-11.3%	9.6%	27.5%	38.8%
<b>სულ ფასების % ცვლილება</b>	<b>-8.3%</b>	<b>15.7%</b>	<b>-10.0%</b>	<b>12.9%</b>	<b>15.0%</b>	<b>36.2%</b>

<sup>2</sup> სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის

ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით. ასევე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთი რეგიონისთვის (როგორცაა შიდა ქართლი და რაჭა), საკმაოდ მცირეა

მონაცემთა ბაზაში არსებული სასტუმროების რაოდენობა, შესაბამისად ინდექსი სრულად ვერ ასახავს რეგიონში არსებულ სასტუმროს ფასების ცვლილების ტენდენციას.




# სასტუმროს საშუალო ფასები

2023 წლის იანვარში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა<sup>3</sup> 159 ლარი შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - 245 ლარი. საოჯახო ტიპის სასტუმროების<sup>4</sup> საშუალო ფასმა დეკემბერში 129 ლარი შეადგინა.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა დეკემბერში 400 ლარი შეადგინა. კახეთში ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 545 ლარი შეადგინა, თბილისში - 462 ლარი, სამცხე-ჯავახეთში - 447, ხოლო გურიაში - 340.

3\*, 4\* და საოჯახო ტიპის სასტუმროთა საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (2023 იანვარი, ლარი)



3 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3\*, 4\*, 5\* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს

ტერიტორიაზე განთავსებულ 3\*, 4\*, 5\* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3\*, 4\* და 5\* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება

სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკული გამოანგარიშებით. 4 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.





# ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები

	2016	2017	2018	2019	2020	I 2021	II 2021	III 2021	IV 2021	2021	I 2022	II 2022	III 2022	IV 2022
<b>მშპ მიმდინარე ფასებში განთავსების საშუალებებისა და საკვები ობიექტების აქტივობებიდან (მლნ)</b>	1054.1	1437.5	1800.0	2223.0	1204.5	213.1	439.2	604.4	527.0	1783.6	360.9*	536.2*	831.1*	-
<b>საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი)</b>	6720.0	7902.5	8679.5	9357.9	1747.1	134.7	351.3	815.4	579.8	1881.3	576.5	1049.4	2266.7	1534.3
<b>ტურისტების რაოდენობა (ათასი)</b>	3297.3	4069.4	4756.8	5080.5	1087.0	116.6	305.8	670.4	484.7	1577.5	456.0	749.3	2082.6	948.8
<b>საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავალი (მლნ აშშ დოლარი)</b>	2110.7	2704.3	3222.1	3268.7	541.7	53.6	246.1	566.0	379.3	1244.9	393.7*	748.8*	1377.8*	999.4*
<b>ქართველი მოგზაურების დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ აშშ დოლარი)</b>	386.3	463.6	524.7	657.2	180.5	19.7	37.1	62.6	64.5	184.7	72.2*	103.5*	118.6*	-
<b>პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ჰორეკა სექტორში (მლნ აშშ დოლარი)</b>	120.0	112.4	105.2	130.4	-248.0	-1.0	-5.6	6.4	-2.7	2.9	11.3*	11.0*	16.5*	-

\* პირველადი მონაცემები



# სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;

რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევას ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგებლობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შემლუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შემლუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შემლუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არააღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზე.

**გიორგი ხიშტოვანი**  
კვლევითი დირექტორი  
[g.khishtovani@pmcginternational.com](mailto:g.khishtovani@pmcginternational.com)

**ნიკა კაპანაძე**  
მკვლევარი  
[n.kapanadze@pmcginternational.com](mailto:n.kapanadze@pmcginternational.com)

**ნანა ქაჯაია**  
უმცროსი მკვლევარი  
[n.kajaia@pmcginternational.com](mailto:n.kajaia@pmcginternational.com)

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3  
სართული, თბილისი, 0102, საქართველო.  
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181  
ელ. ფოსტა: [research@pmcginternational.com](mailto:research@pmcginternational.com)  
ვებსაიტი: [pmcresearch.org](http://pmcresearch.org)

